მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №419
2018 წლის 17 სექტემბერი
დ. მესტია

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა" და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ა.(ა).იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 06.09.2019 წლის N81 (რეგ. №1348) მომართვის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.04.2013 წლის №19 განკარგულებით დამტკიცებულ წესდებაში (ცვლილება: 31.12.2015 წლის N614 ბრძანება).
   1.1 წესდებას დაემატოს $7^1$ მუხლი.
   1.2 „$7^1$. მუხლის" სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „მუხლი $7^1$. ფილიალის (ბაგა-ბაღის) სტატუსი".
   1.3 წესდების $7^1$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „7.1.1. ბაგა-ბაღი სამართლებრივად წარმოადგენს გაერთიანების ფილიალს, რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს".
   „7.1.2. ფილიალს აქვს ბეჭედი. ბეჭდის საიდენტიფიკაციო ნიშნები და გამოყენების ფარგლები განისაზღვრება ა.(ა).იპ - ის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით";
   „7.1.3. ფილიალის სტრუქტურა მოიცავს: დირექტორი, მეთოდისტი, მნე, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ექთანი, მზარეული, მუშა, დარაჯი.
2. წესდებას დაემატოს $7^2$ მუხლი.
   2.1 „$7^2$. მუხლის" სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „მუხლი $7^2$". ფილიალის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები".
   2.2 წესდების $7^2$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „7.2.1. ფილიალის მიზნები ამოცანები და ფუნქციებია:
   „7.2.2. სკოლამდელი აღზრდის საგანამანათლებლო სტანდარტების ფარგლებში, ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით, ბავშვებისთვის იმ სავალდებულო ცოდნის მიცემა, იმ აუცილებელი ქცევის ნორმების ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში სწავლისათვის და ყოველდღიური ცხოვრებისათვის".

„7.2.3. ფილიალისა და ოჯახის ურთიერთობების ოპტიმალური ფორმების დანერგვა, პარტნიორული კავშირების დამყარება“;

„7.2.4. ზრუნვა ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციური განვითარების საკითხებზე“;

„7.2.5. ბავშვებში პიროვნული თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომში წარმოადგენს ზრდადასრულებული ადამიანისათვის აუცილებელ საჭიროებებს“;

„7.2.6. ბავშვებში თვითმომსახურებისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო უნარჩვევების ჩამოყალიბება“;

„7.2.7. საზოგადოებაში ბავშვის ადაპტირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაზე ზრუნვა“;

„7.2.8. ბავშვის ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფა“.

3. წესდებას დაემატოს 7³ მუხლი.

3.1 „7³. მუხლის“ სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7³“. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება“.

3.2 წესდების 7³ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.3.1. ფილიალში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების, სწავლა-აღზრდის და პროგრამის შინაარსისა და ხანგრძლივობის, შედეგების შეფასების საკითხები განისაზღვრება სკოლამდელთა საგანმანათლებლო პროგრამით“;

„7.3.2. ფილიალის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი წარმოებს ა.(ა).იპთან და მესტიის მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით;

„7.3.3. აღზრდა-განათლების ენად ფილიალში დადგენილია ქართული ენა, სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს უცხოურ ენებზეც“;

„7.3.4. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი აისახება ა.(ა).იპ-ის შინაგანაწესში“.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ წესდების ცვლილების რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს ა.(ა).იპ-ის დირექტორს მაია ხერგიანს (პ/ნ: 30001000489).
5. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

ნელი ნაცერიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მერის მ/შ

ინდ. 3200 ქ.მესტია
სეტის მოედანი N–1
gamgeobamestia@yahoo.com

ტელ. +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@rambler.ru
ვებგვერდი: www.mestia.ge

არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი

"მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება"

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1.1არასამეწარმეო( არაკომერციული) იურიდიული პირის სრული დასახელებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება" (შემდგომში ა.ა.ი.პ.).

1.2. ა.ა.ი.პ. მესტიის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანება არის მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის,"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, სხვა სამართლებლივი აქტების, წინამდებარე წესდების და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

1.3.ა.ა.ი.პ-ს აქვს დამოიკიდებელი ბალანსი მრგვალი ბეჭედი, საკუთარი სახელწოდებით, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტოც) საბანკო დაწესებულებებში, ასევე იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.4 ა.ა.ი.პ.-ი უფლებემოსილია სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად თანასწორობის საფუძველზე გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებრივ მოძრაობებში სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა გაერთიანებებში.

1.5ა.ა.ი.პ.-ს შეუძლია ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები სხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან შესaბამისი შეთანხმებები, ხელშეკრულებები, კონტრაქტები, მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომელიც შეესაბამება ა.ა.ი.პ.-ს მიზნებს, არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს.

1.6.ა.ა.ი.პ დამოუკიდებელია თავისი დამფუძნებლების, ასევე ხელმძღვანმელობისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებებისათვის, ისევე, როგორც ისინი პასუხს არ აგებენ ა.ა.ი.პ.-ის ვალდებეულებებისათვის . ა.ა.ი.პ.-ია ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით.

1.7. ა.ა.ი.პ.-ს საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. ა.ა.ი.პ.-ს უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებაში, შეიძინოს ქონება, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსაჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

1.8. ა.ა.ი.პ.-ი იქმნება განუსაზღვრელი ვადით და მისი საქმიანობა ხორციელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევემის ფარგლებს გარეთ.

1.8ა.ა.ი.პ-ს დირექტორი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე მენეჯერული (საორგანიზაციო) მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟით;

1.9 ა.ა.ი.პ.-ის იურიდიული მისამართია : საქართველო, დ.მესტია თამარ მეფის ქ. 48. ელ.მის: maiakh26@gmail.com

**მუხლი 2. ა.ა.ი.პ–ის მიზნები, საქმიანობის ფორმები**

2.1 ა.ა.ი.პ–ის მიზნებია:

2.2 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ბავშვებში (აღსაზრდელებში) იმ აუცილებელი ცოდნის, უნარ–ჩვევებისა და ქცევის ნორმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას სკოლაში სწავლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის.

2.3 საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ( აღსაზრდელის) აზროვნების სწორ და ჯანსაღ განვითარებას, ემოციურ სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას,მის ფიზიკურ ზნეობრივ და ესთეთიკურ აღზრდას, საზოგადოებისადმი პატივისცემას.

2.4 ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2.5 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;

2.6 ბავშვების გონებრივ და ფიზიკურ, ასევე უნარ–ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა;

2.7 სკოლამდელი აღზრდის შესახებ ინდივიდუალური ინიციატივების,მეთოდიკისა და პროგრამის შემუშავება;

2.8 აღსაზრდელის (მათი მშობლების) შესახებ ყველა სახის საჭიროი ნფორმაციის მოძიება, აღრიცხვა და სისტემატიზაცია;

2.11 აღსაზრდელებისათვის განათლების გეგმის შემუშავება და დასვეწა. საჭიროების შემთხვევაში, აღსაზრდელის პიროვნებიდან გამომდინარე,ინდივიდუალური საგანმანათლებო გეგმის მიღება, ასევე მშობლის ჩართვა აღზრდის პროცესში;

2.12 სკოლამდელი აღზრდის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება;

2.13. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ა.ა.ი.პ–ი;

2.14. თანამშრომლობს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან, რათა მოხდეს აღზრდის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და მიღწევების დანერგვა;

2.15 აღსაზრდელების თანამედროვე სტანდარტების კვების პროდუქტებით, მედიკამენტებით, ინვენტარითა და მომსახურებით უზრუნველყოფა;

2.16 აღსაზრდელის ( მათი მშობლების) შესახებ ყველა სახის საჭირო ინფორმაციის მოძიება, აღრიცხვა და სისტემატიზაცია;

2.17 აღსაზრდელებისათვის განათლების გეგმის შემუშავება და დახვეწა. საჭიროების შემთხვევაში, აღსაზრდელის პიროვნებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის მიღება, ასევე მშობლის ჩართვა აღზრდის პროცესში;

2.18 სკოლამდელი აღზრდის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემური მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა და მათი გადაწყვეტილების გზების შემუშავება;

2.19 სკოლამდელი აღზრდის შესახებ ახალი ინიციატივების, მეთოდიკის და პროგრამების თაობაზე შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა;

2.20 ა.ა.ი.პ.-ი თავისი საქმიანობის რეკლამირებისთვის იყენებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო და სარეკლამო საშუალებებს;

2.21. ამყარებს საქმიან და პარტნიორულ კავშირებს, როგორს საქართველოს ,ასევე საზღვარგარეთის არასამთავრობო სექტორთან, ინვესტორებთან და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან;

2.22. ა.ა.ი.პ. ახორციელებს სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება წესდებით განსაზღვრულ მიზნებს.

2.23. საქმიანობას, რომელის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება). ა.ა.ი.პ.-ი წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სერთიფიკატის) აღების შემდეგ.

**მუხლი 3. ა.ა.ი.პ.-ის დამფუძნებლები**

3.1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–მესტიის სკოლამდელი აღრზდის დაწესებულებების გაერთიანებ–ის დამფუძნებელია მესტიის მუნიციპალიტეტი. მის: დ. მესტია, სეტის მოედანი N1 საიდენტიფიკაციო კოდი: 235895046.

**მუხლი 4. ა.ა.ი.პ.-ის დამფუძვნებლის უფლებამოსილებანი**

4.1. დამფუძვნებელი უფლებამოსილია:

ა). დაამტკიცოს ა.ა.ი.პ.-ის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ). შეცვალოს ა.ა.ი.პ.-ის მიზნები;

გ) დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს ა.ა.ი.პ,-ის დირექტორი, განსაზღვროს მისი უფლებები და ვალდებულებები;

დ) მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ა.ა.ი.პ.-ის ხელმძღვანელი პირებისგან ა.ა.ი.პ.-ის საქმიანობის შესახებ;

ე) მოისმინოს (მოითხოვოს) ფინანსური და სხვა ხასიათის ანგარიშები;

ვ) დაამტკიცოს ა.ა.ი.პ.-ის დირექტორის მიერ წარდგენილი ა.ა.ი.პ.-ის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები ;

ზ) დაინიშნოს და თანამდებობიდან გაანთავისუფლის ა.ა.ი.პ–ის სამეურვეო საბჭოში (სათათბირო ორგანოში) თავისი წარმომადგენელი.

თ) დაამტკიცოს ა.ა.ი.პ–ის მიერ დასაფინანსებელი ცალკეული პროექტები და აკონტროლოს მათი განხორციელება;

ი) წელიწადში ორჯერ განიხილის ა.ა.ი.პ–ის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში;

კ) დაამტკიცოს ა.ა.ი.პ–ის დაფინანსების ბიუჯეტი და ა.ა.ი.პ–ის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მასში ცვლილებები და დამატებები;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილება ა.ა.ი.პ–ის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;

მ) გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება ა.ა.ი.პ–ის დირექტორის კომპეტენციას.

**მუხლი: 5 ა.ა.ი.პ–ის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.**

**ა.ა.ი.პ–ის დირექტორი**

5.1 ა.ა.ი.პ–ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას სრულიად ახორციელებს ა.ა.ი.პ–ის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

5.2 ა.ა.ი.პ–ის დირექტორი ა.ა.ი.პ–ის მიზნების მისაღწევად , დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად იყენებს ა.ა.ი.პ–ის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასევე ა.ა.ი.პ–ის ანგარიშზე ჩარიცხულ მატერიალურ სახსრებს და ამასთან დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, როგორც დამფუძნებლის ისე კონკრეტული დამფინანსებლის წინაშე;

ა) მოქმედებს ა.ა.ი.პ–ის სახელით და წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) ა.ა.ი.პ–ის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, დამფუძნებელთან შეთანხმებით იძენს და განკარგავს ა.ა.ი.პ–ის უძრავ ქონებას; ა.ა.ი.პ–ის უძრავი ქონების უფლებრივად დათვირთვის ან გასხვისებისათვის აუცილებელია დამფუძნებლის წინასწარი თანხმობა;

გ) დამფუძნებელთან ერთად ზედამხედველობს ა.ა.ი.პ–ის ფინანსური სახსრებისა სხვა მატერიალურ ქონების მართვას;

დ) ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ხელს აწერს ა.ა.ი.პ–ის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

ე) უზრუნველყოფს ა.ა.ი.პ–ის დამფუძნებლის გადაწყვეტილებების შესრულებას;

ვ) გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ბიუჯეტის ათვისების, ასევე საქმიანობის შესახებ აბარებს ანგარიშს ა.ა.ი.პ–ის დამფუძნებელს;

ზ) შეიმუშავებს და დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ა.ა.ი.პ–ის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს, გეგმებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს;

თ) დამფუძნებლის მიერ დამტკიცებულ პროექტებით დებს მესამე პირებთან შესაბამის ხელშეკრულებების ა.ა.ი.პ–ის სახელით;

ი) ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორის მოადგილეებს;

1. ა.ი.პ-ის დირექტორს ყავს მოადგილე და მოადგილე სამეურნეო დარგში.

კ) ამტკიცებს ა.ა.ი.პ–ის შინაგანაწესს;

ლ) ნიშნავს და ათავისუფლებს ა.ა.ი.პ–ის თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომითი ხელშეკრულებებს, განსაზღვრავს პრემიების გაცემის ან სხვაგვარ წახალისების საკითხებს;

მ) წესდების, შინაგანაწესის და ზნეობრივი ნორმების განუხრელი დაცვის მიზნით ახორციელებს კონტროლს თანამშრომლებზე;

ნ) თანამშრომლობს აღსაზრდელების მშობლებთან ა.ა.ი.პ–ის მიზნების დახვეწის, პრობლემატურ საკითხების გადაჭრის, კონსულტაციისა და აღსაზრდელების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით;

ო) დამფუძნებლის მიერ მინიჭებული უფლებების ფარგლებში ახორციელებს სხვა საქმიანობას.

5.3. ა.ა.ი.პ–ის დირექტორს ენიშნება ხელფასი ა.ა.ი.პ–ის დამფუძნებელის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

5.4 წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ა.ა.ი.პ–ის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის ა.ა.ი.პ–ის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ა.ა.ი.პ–ის დამფუძნებელი.

5.5 ა.ა.ი.პ–ის დირექტორი ა.ა.ი.პ–ის საქმეებს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად.

## მუხლი 6 ა.ა.ი.პ–ის სამეურვეო საბჭო

6.1 ა.ა.ი.პ–ის სამეურვეო საბჭო (შემდგომში–სამეურვეო საბჭო) იქმნება ა.ა.ი.პ–ის მიზნების განხორციელების და საქმიანობის ხელშეწყობის , კონსულტაციის, მონიტორინგის და დახმარების მიზნით.

6.2 სამეურვეო საბჭო წევრების კანდიდატურებს განსაზღვრავს დამფუძნებელი.

6.3 სამეურვეო საბჭო იქმნება 1 წლის ვადით.

6.4 სამეურვეო საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ წარმომადგენლის მიერ განსაზღვრული პირები (დამფუძნებლის წარმომადგენელი, ა.ა.ი.პ–ის თანამშრომელი და აღსაზრდელების მშობელი).

6.5 სამეურვეო საბჭო შედგება 3 წევრისგან, რომელთაგან 1 წევრს წარადგენს დამფუძნებლი, 1 თანამშრომელი და 1 აღსაზრდელის მშობელი.

6.6 სამეურვეო საბჭო თავისი ფუნქციების განხორციელებისას უფლებამოსილია;

ა) წელიწადში არანაკლებ ორჯერ მაინც მოიწვიოს საბჭო;

ბ) მიმართოს დირექტორს ა.ა.ი.პ–ის მიზნებიდან გამომდინარე წინადადებით, რეკომენდაციებით;

გ) განიხილოს დირექტორთან ა.ა.ი.პ–ის მიზნების განხორციელების და საქმიანობის შესახებ საკითხები, პრობლემატური თემები;

დ) გაეცნოს დირექტორის მიერ დაფინანსების სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილებას;

ე) ა.ა.ი.პ–ის მიზნების მიღწევისათვის აქტიურად ითანამშრომლოს დირექტორთან და დამფუძნებელთან.

**მუხლი 7 ა.ა.ი.პ–ის ქონება, საფინანსო–სამეურნეო საქმიანობა**

7.1 ა.ა.ი.პ–ის ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

7.2 კანონით დადგენილი წესით ა.ა.ი.პ–ის სახსრები იქმნება:

ა) დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული სკოლამდელი აღზრდისთვის გათვალისწინებული სახსრებით;

ბ) დამფუძნებლის შენატანებით/ შემოწირულობებით;

გ) დამხმარე სახის არა კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.

დ) ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებით;

ე) გრანტებით;

ვ) კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებით;

ზ) სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

7.3 ა.ა.ი.პ–ის შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს შენობა–ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, საცხოვრებელი ფონდი–მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

7.4 საკუთარი მიზნების მისაღწევად ა.ა.ი.პ–ის უფლება აქვს განახორციელეს დამხმარე ხასიათის არა სამეწარმეო საქმიანობა, რომელთა საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოიყენება მხოლოდ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. მისი განაწილება ა.ა.ი.პ–ის დამფუძნებლებს აგრეთვე ხელმძღვანელობის და წაემომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის არ დაიშვება.

7.5 ა.ა.ი.პ–ის დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ა.ა.ი.პ–ის ფულადი სახსრების მიზნობრივ განკარგვასა და ქონების დაცვის საქმეში.

7.6 ა.ა.ი.პ–ი მისთვის გადაცემულ ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად. ქონების გასხვისება, დამფუძნებლის თანხმობით, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უწყობს მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას, ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობაში.

მუხლი 7[1]. ფილიალის (ბაგა-ბაღის) სტატუსი.

„7.1.1. ბაგა-ბაღი სამართლებრივად წარმოადგენს გაერთიანების ფილიალს, რომელიც საქმიანობს გაერთიანების წესდებით და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს".
„7.1.2. ფილიალს აქვს ბეჭედი, ბეჭდის საიდენტიფიკაციო ნიშნები და გამოყენების ფარგლები განისაზღვრება ა.(ა).იპ - ის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით";
„7.1.3. ფილიალის სტრუქტურა მოიცავს: დირექტორი, მეთოდისტი, მნე, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ექთანი, მზარეული, მუშა, დარაჯი.

მუხლი 7[2]". ფილიალის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

7.2.1. ფილიალის მიზნები ამოცანები და ფუნქციებია:
7.2.2. სკოლამდელი აღზრდის საგანამანათლებლო სტანდარტების ფარგლებში, ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით, ბავშვებისთვის იმ სავალდებულო ცოდნის მიცემა, იმ აუცილებელი ქცევის ნორმების ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში სწავლისათვის და ყოველდღიური ცხოვრებისათვის.
7.2.3. ფილიალისა და ოჯახის ურთიერთობების ოპტიმალური ფორმების დანერგვა, პარტნიორული კავშირების დამყარება;
7.2.4. ზრუნვა ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციური განვითარების საკითხებზე;
7.2.5. ბავშვებში პიროვნული თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომში წარმოადგენს ზრდადასრულებული ადამიანისათვის აუცილებელ საჭიროებებს;
7.2.6. ბავშვებში თვითმომსახურებისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო უნარჩვევების ჩამოყალიბება;
7.2.7. საზოგადოებაში ბავშვის ადაპტირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შემენაზე ზრუნვა;
7.2.8. ბავშვის ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფა.

მუხლი 7[3]. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება

7.3.1. ფილიალში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების, სწავლა-აღზრდის და პროგრამის შინაარსისა და ხანგრძლივობის, შედეგების შეფასების საკითხები განისაზღვრება სკოლამდელთა საგანმანათლებლო პროგრამით;
7.3.2. ფილიალის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი წარმოებს ა.(ა).იპთან და მესტიის მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით;
7.3.3. აღზრდა-განათლების ენად ფილიალში დადგენილია ქართული ენა, სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს უცხოურ ენებზეც;
7.3.4. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი აისახება ა.(ა).იპ-ის შინაგანაწესში.

მუხლი 8.რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია:

8.1. ა.ა.ი.პ.-ია მიერ რეორგანიზაცია (შერწყმა, გაყოფა, გამოყოფა, იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით შეცვლა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ა.ა.ი.პ.-ის ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა უფლებამოსილ პირებს, რომლებსაც განსაზღვრავს ა.ა.ი.პ-ს დამფუძნებელი.

...gov.ge/GetBlob?pid=...

მუხლი 9. (ა.ა.ი.პ–ის წესდების ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესები)

9.1 ა.ა.ი.პ–ის წესდება მოქმედებს ა.ა.ი.პ–ის საქმიანობის ყველა სფეროში. მისი დაცვა სავალდებულოა დამფუძნებლისა და ყველა ხელმძღვანელი პირისთვის.

9.2 წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ასევე ახალი წესდების მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9.3 თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს სხვა დებულების ნამდვილობაზე.

9.4 ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

9.5.წესდებაში ცლილება შეაქვს დამფუძნებელს.

9.6. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება საქარათველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნელი ნავერიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მერის მ/შ